

572
1979

USSN 0132—5965



1979 თებერვალი №2

ბიჭი



ეს ჩემი საქართველოა

სიმონ შამფრინი

რამდენი ლურჯი ქედი,
რამდენი თეთრი მდინარე,
რამდენი ვარდი ღაღანებს—
ფურად-ფურადი, მცინარე!
რამსჯელა ჩაის სვაჯია,
რამსჯელა ვენახებია!
აქეთ—ფოლადის ზოდები,
იქით—ნარინჯის მთებია.
ბაღში, სვარსა თუ უნაში
რა საამური სმებია!
შესედე, ხილის გორები
მწვერვლებს ეჯობებინა.
მზიანი, ულამაზესი
რამდენი მთა და მდელოა,
ეს—ჩემი საქართველოა,
საბჭოთა საქართველოა!



ნახატი ნოდარ სულემანაშვილისა



56207

ბაბარჯოვა, ჯარისკაცო!

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

კატო ბეზიას მუღულე და სამი ვაჟიშვილი სამამულო ომში დაიღუპნენ. იმათი გადიდებული სურათები კედელზე გაკრულ ჭრელ ფარდაზე უკიდია. მოხუცი მარტოდმარტო ცხოვრობს. ეს, რაღა თქმა უნდა, კარგად იცინა ჩვენს სოფელში და ამიტომაც, ხან ვინ შეეხმიანება, ხან—ვინ. ცდილობენ—რაღაცით დაეხმარონ, სიტყვით ან საქმით ასიამოვნონ მარტოხელას. ყველა ბატონისცემით ეპყრობა, ყველა გვერდში უდგას; განსაკუთრებით—კარის მეზობელი—მწვეინარი. გოგონა, თითქმის ყოველ ცისმარე დღეს ღობეში

ნახატები ელშარდ აგვოკაძისა

ჩატანებულ, მავთულით ხის ძელზე ჩამოკონწაღებულ სამეზობლო კარს შეაღებს და მოხუცს ესტუმრება.

- დილა მშვიდობისა, კატო ბეზია!
- გაიზარდე და გაიხარე, ჩემო კეთილო გოგო!
- როგორა ხარ, ხომ არაფერი გინდა?
- შენი ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა, სხვა რა უნდა მინდოდეს.
- გასარეცხ-ასალაგებელი ხომ არაფერი გაქვს? — მწვეინარი ოთახს დიდი აღამიანივით

კ. შარქისის სახ. საქ. სსრ
სახომწეო...



მოაგებს თვალს.

— არა, არაფერი, გინდაც მქონდეს, შენ გააკეთებინებ?—იღიბება კატო ბებია.

სახლი მართლაც დალაგებულია, ფანჯრის მიწები სუფთა და ჰაერით გამჭვირვალე.

— მოდი, ეზოს დაგვიკვი, — მზევინარი ცოცხს იღებს და ეზოს ჰგვის. მტერის თეთრი ღრუბელი ზემოთ და ზემოთ ადის. გზიდან, ვინც მოხუცის ეზოსკენ გამოიხედავს, გაკვირვებით ხმა-მალა ამბობს:

— კაცო, რა ამბავია, ქარიშხალი არ არის და კატოს ეზოში რა კორიანტილი დამდგარაო.

— ესო, ჩემი ოქროს მეზობელი მზევინარია, ეზოს მიგვისო, — ხმინანება ცნობისმოყვარე გამელელს განარებული კატო ბებია.

— ჰოო, იმიტომაცო.

ერთ დამეს ქარიშხალი მართლა ამოვარდა. გათენებამდე იგუგუნა, ხეები მიღწე-მოღწეა, სახლის სახურავიდან კრამიტები გადმოყარა და დალექა.

ძიღამკრთალმა მზევინარმა შუალამისას მამა გამოაღვიძა: — ადექი, კატო ბებიას გახედე, როგორ არის, ქარიშხალმა სახლი ხომ არ მოსტაცაო.

მამა გარეთ გავიდა, მერე, დაარხინებული შემობრუნდა და მზევინარი დაამშვიდა: — ყველაფერი თავის ადგილზეა და კატო ბებიასაც მშვიდად სძინავსო.

— რა კარგიაო, — გაიხარა გოგონამ და თვითონაც ტკბილად დაიძინა.

ღლით ადრე ჭყიტა თუ არა თვალი, ფეხშიშველი — ტყაბატყუპით აივანზე გავარდა. კატო ბებიას სახლს გახედა და ელდა ეცა: ქარიშხალს კაკლის უზარმაზარი ტოტი მოხელიჩა და ეზოს კართან ჩახერგილიყო. იქვე ჩაფიქრებული და შეწუხებული კატო ბებია იდგა; ალბათ, ამოდენა ხეს რა მოეუხერხო, როგორ გამოვართო, რომ კარი გამოვადლოო.

მზევინარმა სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა და მოხუცთან გაიქცა.

— ვერ დაგიძრავს, კატო ბებია?

— ვერა, შვილო, — ამოიოხრა მოხუცმა.

— მოდი, ორივემ ვცადოთ!

სცადეს, მაგრამ, ხეს ძვრაც ვერ უყვეს.

— მოიცა, ვინმეს დაეუძახებ, მოგვეშეგება, —

მწვეინარი ღობეს გადაადგა და გზას გახედა.
კაცივილი არ ჭაჭანებდა, ყველა სამუშაოდ გაკ-
რეფილიყო. უცებ მოსახვევში ჯარისკაცი გამოჩნ-
და, ხელში შინდისფერი ჩემოდანი ეჭირა, შავი,
სარკესავით გაპრიალებული ჩექმები ეცვა. ქამა-
რი ისე გაეჭირა, იფიქრებდით, წელში გაწყდე-
ბო. ჯარისკაცი კატო ბებიას ეზოს რომ გაუს-
წორდა, მწვეინარი მიესალმა:

- გამარჯობა, ჯარისკაცი!
- ჯარისკაცი ღობესთან მივიდა, მწვეინარს ხე-
ლი გაუწოდა.
- გაემარჯოს, რა გქვია?
- მწვეინარი!
- უპ, რა კარგი სახელია, მწვე-ინ-არი! რას
აკეთებ, ღობეზე წიწკანა ჩიტვივით რომ შეფრე-
ნილხარ?
- მე და კატო ბებიას ხის გადათრევა გეინ-
და, მაგრამ ვერ დაეძარი!
- გიშველოთ?

მწვეინარმა თავი დაუქნია.
ეზოს კარი რომ ჩახერგილი იყო, ამაზე ჯა-
რისკაცი არ დაღონებულა; შინდისფერი ჩემო-
დანი ძირს დადგა, ღობეზე მსუბუქად გადახტა,
კაკლის ტოტს ორივე ხელი ჩასჭიდა და ეზოს
შუაგულში გაათრია. მერე ცული მოითხოვა, ხე
გასხიბა, დაჭრა, დახეთქა და კიბის ქვეშ დააწ-
ყო: — ზამთარში ბებიას გამოადგება, ბუნარს
ააგუგუნებსო.

— შენ კი გაინარე, შვილო, შერჩი შენს პატ-
რონსო, — ლოცავდა კატო ბებია.
ჯარისკაცმა გამომწვიდობებისას მოხუცსა და
მწვეინარს ხელი ჩამოართვა, გამოალო ჭიშკარი,
აიღო შინდისფერი ჩემოდანი და ბრიალა ჩექმე-
მების ბაკაბუკით წავიდა.
— რა კარგია ჯარისკაცობა, ნეტავი გოგო არ
ვიყო, — სინანულით ფიქრობდა მწვეინარი და
თვალი ველარ მოეწყვიტა გზაზე მიმავალი ჯა-
რისკაცისათვის, რომელსაც ქამარი ისე გაეჭირა,
გეგონებოდით, წელში გაწყდებო.



მადე მოჰა გაზაუზხელი

კ. გოგიაშვილი

გასაღისდნენ ჩიტუნები,
მიმოფრენენ ჩქარა, ჩქარა,
აღარ სხედან აბუზუღნი:
— ზამთრის სუსხი კმარა, კმარა! —
ფუსფუსებენ. — თებერვლის მსემ

სსივი უზვად დაგვაზარა,
მა-ლე ქო-ვა გა-ზა-ფსუ-ღი! —
ქივქივებენ წარამარა...
აი, რატომ ფრთხილდებენ,
აი, რამაც განხარათ.

მშობლიური ვინა

ნოღარ შამანაძე

ვაქოთ, ვაქოთ, უნდა ვაქოთ,
ქებით ცამდე ავიყვანოთ—
მშობლიური ჩვენი მიწა,
ჩვენი ხაღნი სათაყვანო.
გვაბუმევს, გვასამევს, გვასაბრძოლებს,
არის ბალიც, საბაღნაროც,
ოღონდ შრომა არ მოვაკლოთ,
ოღონდ—ოფლი ყველამ ვღვაროთ.
პურის ყანა ითავთაგებს,
თუკი მინდვრებს გადავთესავთ,
ამოგვივსებს ბელეებს, გოდრებს,
კოდებსა და კალათებსა.
გავაშენებთ რჩეულ ვენახს,
ერთი ძირიც არ გვიმტყუნებს,
გაგვამდიდრებს, გაგვადიდებს,
სტუმარს—ღვინით გაგვისტუმრებს.
საღვდათო, საბარაქო,
მშობლიური მიწა ვაქოთ,
ვაქოთ, ვაქოთ, ვადიადოთ,
მისთვის ყველამ თავი დავდოთ.

თვლა ათაბეა


მზია იოსელიანი

მეორე დღეს ეზოს ბავშვები ზოგი ბაღში წაიდა, ზოგი სკოლაში. ამოდენა სახლში ზაზა და უჩაღა დარჩნენ. უჩამ უცაღა, უცაღა და მეგობარი რომ არ გამოჩნდა, თვითონ მიაკითხა. ზაზა მოწყვნილი დახვდა.

- ალ გაგიხალდა?!— გაუკვირდა უჩას.
- არა,— გამოტყდა ზაზა.
- ლატომ?
- იმიტომ, რომ დღესაც რაღაც სისულელეს ჩაიდენ.
- ალ ჩავიდენ.
- თუ მართლა მეგობრობა გინდა, ჯიუტობას თავი დანებებ!
- დავანებებ... ხულიგანი ბიჭები თუ გაგლახებენ?
- არავინ ხმას არ გამცემს, შენ თუ არ გალახებინე.
- აუღა ლომ გახდები?
- არ გავხდები თუ წასასმელ მყრალ მამოს არ დამალვინებ.
- აბა ლა ვქნა?— იკითხა მეგობრობის მოწადინე უჩამ.
- მოდი, თავი დამანებე!— უკმეხად თქვა ზაზამ.
- შენთან მინდა, მეგობალი მინდა, თამაში მინდა!— ბირი დააღო უჩამ.
- რა გაღრიალებს! თამაში მეც მინდა, მაგრამ აბა, რა უნდა გეთამაშო.
- კუკუ-დამალობია!— გაუხარდა უჩას.
- შენთან კუკუ-დამალობიას თამაში სად გაგონილა.
- გაგონილა...— გაჯიუტდა უჩა.
- დაიჩემებს და დაიჩემებს! წამოდი ეზოში და შენი თვალით ნახავ.
- წამოდი!
- ჩავიდნენ ეზოში, დადგნენ ქაღრის ძირში და უჩამ გათვლა დაიწყო:

ენკი, ბენკი სიკლისა,
ენკი ბენკი და,
გა-ვი-და...





დაადო გულზე ხელი ზახას.
— ახლა მაგრად დახუქე თვალები და
ოცამდე დაითვალე!—გააფრთხილა მეგობარ-
მა და თვალით დასამალ ადგილს დაუწყო
ძებნა.

— ოცის დათვლა აღ ვიცი...—ყურები ჩა-
მოყარა და პირი დაადო უჩამ.

— დათვლა რომ არ იცი, კუკუ-დამალო-
ბანას როგორ ითამაშებ?

— ვითამაშებ! — ისევ გაჯიუტდა, — ხუთს
დავითვლი.

— ხუთის დათვლაში დამალვა როგორ
მოვასწრო?—გაბრაზდა ზახა.

— ოცის დათვლა აღ ვიცი!—აღრიალდა
უჩა.

— კარგი, ათამდე მაინც დაითვალე!

— ათამდეც აღ ვიცი!

— მაშინ, ჯერ ერთხელ დათვალე ხუთამ-
დე, მერე—მეორედ.

უჩამ თვალბზე ხელები აიფარა:

— ელთი, ოლი, სამი, ხუთი!..

— ოთხი, ოთხი რა უყავი!—მიამახა ზახამ,
ჯერ რომ ვერ მოეფიქრებინა სად დამა-
ლულიყო.

— ელთი, ოლი, სამი, ოთხი, ხუთი!—შეუც-
დომლად დაითვალა უჩამ და ამით გახარე-
ბულმა მაშინვე თვალები ჭყიტა.

— მეორედ, მეორედ რატომ არ დაითვა-
ლე!—გაუჯავრდა ზახა.

— მეოლე აღ ვიცი!

— რა არ იცი, ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი ხომ იცი?

— ხუთი ვიცი, მეტი ალა!

— გაჩუმდი, რა გაღრიალებს! თუ ათამდე
თვლა მაინც არ ისწავლე, როგორ ითამაშებ?

— ვითა-მა-შე-გებ!

— მაშინ დაითვალე!.. ხუთამდე ხომ იცი,
ახლა ექვსი, შვიდი...

— ექვსი, შვიდი.

— რვა.

— ლეაა!
— „რ“ თქვი, რარი!
— ლოლოლო!
— ეს თავისას გაიძახის!
— ექვსი, შვიდი, ლვა... ხუთი, ექვსი,
ლვა...

— შვიდი რა უყავი, გადაყლაპე?
— ალ გადამიყლაპია, — პირი დააღო უჩამ, —
აი, ალ გადამიყლაპია!

— აბა, სადა გაქვს, ჯიბეში?
— ალა! — უჩამ შარვლის ჯიბეები გადმოი-
ბრუნა.

— სულელი, მართლა ჯიბეებში ეძებ? დაი-
თვალე და არ გამოტოვო!

— ხუთი, ექვსი, შვიდი, ლვა.
— რრრვა!

— ლლლვა...

— ამას ვერაფერს გააგებინებ, — ხელი ჩაიქ-
ნია ზაზამ და სადარბაზოსაკენ გატრიალდა.

— გამაგებინე! — გამოუღდა უჩა.

— მაშინ თქვი: რრვა, ცხრა...

— ლლვა და ცხლა!

— დამანებე თავი, — ზაზა სადარბაზოში
შევიდა.

— ლვა და ცხლა! — დაედევნა ღრიალით
უჩა.

— ისევ — „ლო“ — ს იძახი, რა უნდა გელაპა-
რაკო! — ზაზამ კიბეზე აირბინა.

— უნდა მელაპალაკო! — უჩა საფეხურს წა-
მოვლო, წაიბორძიკა, მერე ღრიალით კიბეს
აუყუდა. ზაზას ოთახში შეესწრო და კარები
შიგნიდან ჩაეკეტა, უჩამ კარს მუშტები დას-
ცხო.

— ბებია, უთხარი, თავი დამანებოს, სთხო-
ვა ზაზამ წიგნს ჩაჩერებულ მოხუცს.

კითხვით გართულმა ბებიამ იფიქრა, ჩემს
შვილიშვილს ისევ ქუჩის ბიჭები მოსდევნენო
და გაჯავრდა:

— ვინ არის კარებთან და რატომ ხულიგ-
ნობს! ბავშვის ხულიგნობა გაგონილა?!

— ხულიგანი ალა, მეგობალი ვალ, უჩა!
ბებიამ ყურებს არ დაუჯერა:

— მეგობარს კარებს უკეტავდეს კაცი-
შვილი გაგონილა?! — წამოღდა და გასაღები
თვითონ გადააბრუნა.

ოცნახუთი თებერვალი ილია აროსია

ცაზე მუქმა ინათა
ოცდნსუთი თებერვლის,
უმჯობესად ვინა თქვა
ხალხთა სნდიდებელი!
სნქართველთს დიდებს
სანარსებო სიამედ
მზე რომ მოეკიდება,
მძობის დრომა ფრიალებს.
ეს დრომა ლენინის,
დრომებს შორის რჩეული,
მსინფრად წამოფრენილა
გამარჯვებას ჩვეული.
და კუნთმავარ მშრომელთა
ბობოქარი ზვირთები
მოდის და წინ მოუძღვის
ჩვენი დრომა წითელი.

დედა-სამშობლო

ივარი ხარაძე

ამ ცას და მიწას მშინისს,
შღვას, მარგალიტის ზიარს,
ამ ბუმბერაზს მთებს ზვიადს
და დედაენის წკრიალს, —
მენი სამშობლო ჰქეია,
დედა-სამშობლო ჰქეია!

კახა და ბელები

ტავუ მუშურიშვილი

ნახატი მანანა მორჩილაძისა



მამა ტყეში როცა წავა,
კახაც მიჰყავს მუდამ.
ახლაც ახლავს, ტყიდან შეშა
მოიტანონ უნდა.
ზის კახუნა მამის გვერდით
გაბადრული სახით
და რქებმაღალ, წითელ ხარებს
ერეკება სახრით.
მზე ჯერ არ ჩანს,
ცხრათვალა მზე—
გამფანტავი ბინდის,
ულრან ტყეში ტკბილადგალობს
უთვალავი ჩიტი.
საამურად ქრის ნიავი,
შარიშურობს ნისლი,
საიდანღაც კოდალას და

ნაჯახის ხმა ისმის.
ბოლოს შედგნენ იქ, სადაც ხევს
კლდე დაჰყურებს რუხი,
ხევში თეთრი ჩანჩქერი ქუხს,
ღვას შხეფების ბული.

* * *

მთის კალთებს ამშვენებს
თოვლივით
ქათქათა ღრუბლების ფარები,
საჩქაროდ გამოხსნეს ულლიდან,
ბალოსზე მიუშვეს ხარები.
და მამამ გამხმარი ტოტებით
ერთ წამში დატვირთა ურემი,
კახა კი ღრმა ხევში ჩავიდა,
ბიჰს შიში არ აკრთობს
სრულებით.

და უცებ ბელები იხილა,
გაოცდა, არ დაფრთხნენ ბელები,
პაწიებს (ობლები თუ იყვნენ)
თვალთაგან სცვიოდათ
სრემლები.

კახაბერი აიტანა
სიხარულის ცანცახმა,
ჯერ რომ ბელებს დაუყვავა,
მერე მამას გასძახა.
მამამ ხელად მოირბინა,
ხედავს, უკვირს, ბელებმა
ოდნავაც არ იუცხოვეს
კახუნას მოფერება.
ეგ კი არა, სრემლიც არ სდით,
უხარიათ კიდევაც.
არ უშლიან ატატებს,

ზურგზე წამოკიდებას.

— კახა მამას შეეხვეწა:

— წაიყვანოთ, რა უშავს, სახლში გამოვანათლოთ და...

ვაზაფხულზე გავუშვათ.

— კეთილიო,— უთხრა მამამ,

მერე ფერებ-ფერებით

შუადღისას მოიყვანეს

შინ ბაჯბაჯა ბეღები.

* * *

კახას ეზოში იმ უბნის
ბავშვები გაჩნდნენ წამსვე,
ბეღებს რძე შეახვრებინეს,
მერე გოდორში ჩასვეს.

— არ შეცივდეთო, დათბუნეს

ჩეჩქით, თივით და ნამჯით.

მსუქან ბელს აჯი დაარქვეს,
გამბდარს და ჩიას—ბაჯი.

...აპრილია, მთა-ბარს

მწვანე ფერი მოსავს,

ბეღლებს ართმევს კახას

ვაზაფხულის მოსვლა.

მაგრამ იცის, ნათქვამს

აღსრულება უნდა.

ერთ ღღეს აჯი, ბაჯი

გულში ჩაიხუტა,

მერე უთხრა მამას:

— ა, გოდორი ტყეჩის,

შიგ ჩავსვით და ურმით

წაიყვანოთ ტყეში.—

გაუხარდა მამას

და შეაქო კახა:

— აი, მესმის, ახლა

ნამდვილ ვაჟკაცს გაეხარ.

ვიცი, აჯი, ბაჯი

მეტისმეტად გიყვარს,

გენანება ძლიერ,

მაგრამ არ სტყებ სიტყვას.

ამიტომაც გყავდეს,

სანამდეც გსურს, მანამ.—

და კახაბერს ტკბილად

გაუღიმა მამამ.

...ღრო გავიდა... ღღეს იმ ორ

ბელს

ველარ იცნობს კახაც.

ორი დათვის ნახვა თუ გსურთ,

ზოოპარკში ნახათ.



უთავო ასანთის ღარი

გზაგული ტომონიძე

მაგიდაზე, საფერფლესთან ასანთის კოლოფი იდო. შიგ ტოლნი და სწორნი — ლურჯთავა ღერები ჩამწყრივებულებს ეწოდებოდა. ერთმანეთს შედარებულნი იყვნენ მითხულებულს საძრაობა და კარგად და სინათლის მოლოდინში გარინდებულიყვნენ. ერთი სული ჰქონდათ, როდის გახსნიდნენ კოლოფს.

— ოჰ, ძლივს!..
— ამას რას ვხედავ?
— სწორედ რომ საკვირველია!..
— უჰ!..— აპუტუნდნენ, როგორც კი კოლოფში ხალვათობა იგრძნეს.
— გაიგონე? — ჰკითხა ერთმა ლურჯთავამ მეორეს.
— რა?
— აი, იმ ღერმა ჩანავლების წინ რომ წამოიხლუკუნა.

— კეფამელოტმა? კი, გავიგონე: „ნეტავ არასოდეს გაეხსნათ კოლოფი, ან ლურჯთავიანი არ ვყოფილიყავიო“.

— რა უცბად ჩაქრა!
— ზო, ზოგი ერთბაშად ქრება, ზოგი ნელ-ნელა იწვის.


— ზოგისაგან მხოლოდ კვამლი დადგება ხოლმე... ზოგისაგან ცეცხლი. ნეტავ, იმ კეფამელოტივით ფიქრობენ სხვებიც, თუ? იქნებ ჩვენთვის მართლაც ცუდია კოლოფის გახსნა?

— მაშინ ხომ სინათლესაც ვეღარ დავინახავდით?

— ან იქნებ უბედეს ლურჯთავიანები არ ვიყავით? აგერ, კუთხეში რომ მიკუნჭულა უთავო. მაგას არც ვინმე წაავლებს ხელს და, თუ წაავლებენ, გადააგდებენ.

— თუ ბოლოს მაინც აღსასრულია, სადაც მიგდებს, ჯობია ვაჰკვესო. ხომ მოგიკრავს თვალი, ლურჯთავიანები როგორ ააღდებიან და ანათებენ ხოლმე სიბნელეს?

— უჰ, უჰ, მართლაც! — ახმანდნენ ღერები. ლურჯთავიანების ბაასს ყური მოჰკრა და მტყუანივით მოიბუზა ასანთის უთავო ღერი.



უილაჯო, არაფრის მაქნისი კიდე უფრო მიიკუჭა კუთხეში და თითქოს კედელს შეენივთაო, ისე აეკრა. მერე კოლოფის გახსნაც კი ვერ გაიგო, ძირს რომ დაეცა, მაშინღა გამოერკვა: „ნეტა სად დავვარდიო“ და, ირგვლივ გაოცებით მიმოიხედა. აქეთ-იქით მიმოფანტულიყვნენ კოლოფიდან გადმოცვნილი ლურჯთავა ღერები, თვითონ რბილ სავარძელში მოხვედრილიყო. სავარძლის ირგვლივ კნაჭაფებზე შემდგარი ხის სკამები მოგაუფებულიყვნენ და შემოსიციციენდნენ:

— რას გვიბრძანებ, მეუფეო?
— შენდა სამსახურად მოვედით, თქვენი ნებისა და სურვილების აღმსრულებელი ვართ...

გაოგნებული უთავო ღერი ჯერ კიდევ იმის ფეჩქში იყო, ნეტავი სად ვარ, ჩემს თავს რა ამბავიაო, რომ სავარძელი ზევით ასწიეს.

— რა ხდება?— მოესმა ვიღაცის ხმა. ღერმა ირგვლე მიმოიხედა, მაგრამ სავარძელში მის მტეი არავინ იყო. „რა მემართება? ვლპარაკობ და ჩემივე ხმა ვეღარ მიცვნიო“, დაასკვნა თავისთვის და პასუხიც მოესმა:

— იქ საპატიო და თვალსაჩინო ადგილზე უნდა დაგაბრძანოთ.

— დაბლა, დაბლა დამიშვით!

— არა, ჯერ ოთახი ხელში ატაცებული უნდა შემოგატართო! — შემოსძახეს კნაჭაფებმა სკამებმა, — დღეს ხომ ყველაზე პატავსაცემი თქვენ ბრძანდებით!

— მე?
— სწორედაც!
— აა?— წაილულულა უთავო ღერმა, — კოლოფშიც ასე ამბობდნენ ჩემზე, — გაახსენდა და თვალეები ქუცია: ყველაფერი უცხოფერი ეჩვენა. დაბლიდან მოწიწებით შემოსცქეროდნენ.

— დაახ, ერთადერთი ჩვენი უფალი, სხვებში გამორჩეული... გვიბრძანე და გემსახურებით!

— ხის კნაჭაფებები აპაკუნდნენ და სკამების პროცესია ჩლახაჩლუხით დაიძრა, — აღტაცებული მიჰქონდათ რბილი სავარძელი.

უთავო ღერმა დაბლა გადმოიხედა; ლურჯთავანი ლეგენი კისრისტეხით გამორბოდნენ სავარძლისაყენ და მიახლოებისთანავე რიგრიგობით აღდებოდნენ.

— შენს სამსახურში დავიწვევებით! — გაჰყვიროდნენ, რაც შეეძლოთ.

ყველაფერი ისე მართალი იყო, უთავომ თავდაპირველად რამ გაიოცა, ეს რა ხდებაო, ახლა თვალმოწკრული გაილურხა: „აი, თურმე რა ყოფილა“. კოლოფში ყოფნა გაახსენდა; „იმიტომ მიბზუებდნენ ცხვირს, შურდათ ჩემი. ახლა კი მადლობა ღმერთს, ყველაფერს მივხვდი. ერთადერთი განსხვავებული თეთრი ასანთი ვყოფილვარ“. ისიც გაახსენდა, როგორ იყო კედელთან მიბზული, ლურჯთავიანების ჭორმართლობაც მოაგონდა: „ზოგი ერთბაშად ქრება, ზოგი ნელ-ნელა იწვის... ზოგისგან კვამლი დგება, ზოგისგან ტანწოწოლა ცცხლი... სადღაც მიგდებს, სჯობია გაჰყვესო და სიბნელე გაანათო“...

უთავო ასანთმა თვალი მოავლო ძირს მყოფთ და კოლოფში მოსმენილს ჭირჭილით დააკოლა:

— ზოგნიც ჩემნაირების, თეთრი ასანთის სადღეობდა, გზის მანათობლად ენთებთან...

ეს განაფიქრი უთავო ღერისათვის ისე ხარწმუნო გახდა, გუნებანაკვეცი შემოტრიალდა, გალაღებული სავარძელში ჩაეშვა და ბატონაკუწრად გაიჯგამა.

სიბნელეში, სათამაშოების თაროზე ერთმა თოჯინამ იკითხა:

— ნეტავ ეს სკამები ასე ვის ეფლოორცებიან?

— სავარძელს დაბადების დღეს უხდინ, — მიუგო მეორე თოჯინამ.



ჰინ ამოსნის მაგალიტს?!

მზია ჩხატინი

ციყუნამ ითვალა,
წერა, შალა, იწვალა,
მაგალიტი ვერ იქნა
და ვერ გამოიყვანა.
დაუჯერა მელიას,
თხილი მოიშველია.
გაუხარდათ თავუნებს.
— მოგვე, ჩივანატუნებთ.
გაგულისდა ციყუნა:
— ნუ იტყევით ბრიყულად!
მერე დაჯდა, ითვალა,
წერა, შალა, იწვალა
და კიდევ გაიხარა:
— ვაშა! გამოიყვანა!



აწრუწუნდა თავუნა,
ციცქნა, თვალგმაყვლი:
— ჩვენც ვერა ვხსნით მაგალიტს,
ჩვენც გვაქვს გამოსაყვანი!
მოდო, ქენი სიკეთე,
თხილი გამოიმეტე!
არ იშურებს ციყუნა:
— ჰა, ბატონო, ინებეთ!—
თავუნებმა ითვალეს,
აკნატუნეს, იღვეს.
ბოლოს ციცქნა წრუწუნამ
ბოლო თხილიც გაკვნიტა
და თქვა:—სჯობდა, მე მგონი,
ანგარიში კაკლითა.



ზაზას სარუქარი

მალვა შარაშიძე

ზაზას მამამ ახალი ვეითელი ფეხსაცმელი უყიდა. სარუქარმა ზაზა ძალიან გახასხასა, იატაკზე დაწყო და ჩაცმა დაიწყო, მაგრამ ფეხსაცმელები ზატარა აღმოჩნდა; ჩაცმით კი ჩაიცვა, მაგრამ ვაი ამ ჩაცმას, ისე მოუჭირა, ბიჭმა ორი ნახევრიც ვერ გადღვა.

— ზატარები გიყიდა! — უსაფუფუნო მამას.

— ზირიქით, თვითონ გაგზრდია ფენი, — მიუგო მამამ.

— თუ გიჭერს, სხვას დავუთმე, შენ კი ახლებს გიყიდი, — ურჩია დედამ.

ზაზამ სმა არ ამოიღო, ახალი ფეხსაცმელი გაიხსნა და კარადაში შეინახა.

მეორე დღეს სკოლიდან რომ დაბრუნდა, სახლთან გურამს შეეფეთა. გურამი ზაზასვე ერთი წლით უძველესი და სკოლაში მეორე ცვლაში სწავლობს; ზაზამ მეზობელი შეათვალა და თვალს არ დაუჯერა, გურამს მისი ახალი ფეხსაცმელი ეცვა.

— შენ რატომ გაცვია? ვინ მოგცა?! — გაიკვირვა ზაზამ.

— შენ თვითონ არ მანუქე? — გულკეთილად გაუღიმა გურამმა.

— როდის განუქე?


— რა ვიცი, დედანებმა მომიტანა და მითხრა, ზაზამ განუქო.

— მოუტეუებიან, ახლავე გაიხსნა!

გურამმა ფეხსაცმელი უსიტუოდ გაიხსნა და და შუა ქუჩაში წინდების ამარა დარჩა. ზაზამ, ვითომც აქ არაფერი, ფეხსაცმელი

იღლიაში ამოიხარა და ტყუილად განაგრძო. კარი დედამ გაუღო. შვილს სელში ფეხსაცმელი რომ დაუნახა, შუბლი შეიკრა.

- ეგ რა არი?
- ჩემი ფეხსაცმელია, გურამს გავხადე,




როგორც ჩანს, გურამის დედას ჩვენი კარბიდან მოუზარავს.

— ეგ რამ გაფიქრებინა? — გაჯავრდა დედა, — როდის იყო, რომ გურამის დედა ფეხსაცმელებს იზარავდა, მე თვითონ მივეცი.

— შენ მიეცი?

— მე მივეცი, მამ, როგორ გგონია, დილას ჩვენთან შეპოიარა, ვუთხარი; სასუსს მამამ ასალი ფეხსაცმელი მოუტანა და ბატარები მოუვიდა-მეთქი. მთხოვა, ეგება, გურამს მოუვიდეს კარგადო, წაიღო და მალე გასაჩუქებელი დაბრუნდა, სუსტად მის ფეხსეა შეკერილიო. ფული მამლია, მაგრამ არ გამოვართვი, ჩვენი შვილები ამხანაგები არიან და გურამს სასუსსგან საჩუქრად ჰქონდეს-მეთქი.

ეს რომ მოისმინა, სასუსს ძალიან შერცხვა, ფეხსაცმელებს ხელი დასტაცა და გურამთან გაიქცა.



საქართველო ღამაზი


თელე ზაქიშვილი

მთა მთაზე როა მაღალი,
თავზე თოვლგადანაყარი,
მთებზე რომ მუდამ გაშლიდა
თეთრი ღრუბლების ფაფარი,
დაბლა ბიბინა ვეღები —
ცხადში ხილული ზღაპარი,
მდინარეების ნანაში
გარინფებული მოა-ბარი,
სიცოცხლე ჩვენი გულისა,
ჩვენი ოცნების ღამაპარი —
საქართველოა ღამაზი,
„სხვა საქართველო ხად არი!“

ნაჯან კეკე

ჯემალ ინჯია

ბოსტნეულის მტერი დიდი—
მასწა ტანის მტკვრევით მიდის.
წრწუნებზე გაწაფული—
კატა უცდის დამაბული.
თაჯს დაესწა, თათი დაჭკრე,
გამიანთა დაკა-დაკა...
ვაჰ, რა მასწა დაწრა კატამ,
კი ჭეონია კარგი მადა.
ასწა ქადის ნაჭერს ატანს,
რომ დაუგდო წველან ნატამ.
როგორც მასწა, ისე ქადა,
წამში გაქრა...
უწადა, კატა!



თონა

არჩილ სპარსიაშვილი

ბები, ზნაპი თონი მომცა,
მითხრა:—უნდა გავასწრო,
მიდი, თონსე, რა ვუყოთ, რომ
თონის სელაჯ არა ხარო.

ვის უყვარს

მურია და ფისუნა
გუბინაირას მისქელან,
ბანაობა ვის უყვარს,—
მურიას თუ ფისუნას?

ქვეყნები




ქრაპი

დავით თვალჭრელიძე

ფარას მოსწყდა თეთრი კრავი,
მარტოდმარტო დარჩა ველოდ,
პეტელებს და დედას ეძებს,
ეპარება წუწკი მელა...
ტყისკენ გარბის საცოდავი,
ნმა მოესმა შიშისმგვრელი:
— გადაგყლაბავ, გადაგსანსაე! —
უბრიალებს თვალეებს მგელი.
უცებ ყურშამ დაიყვება,
მოდის კომბლით მწყემსი გელა,
კისრისტეხით გარბის მგელი,
სოროს ეძებს წუწკი მელა.

ქვეყნები



შეგესეთ ცარიელი უჯრედები გარეული ცხოველების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ — „გამარჯვება“.
შეადგინა თბილისის 1-ლი საშ. სკოლის მოსწავლემ დავით ლიპარტელიანიძე.



უქნარა

თინათონ კვირიკაძე

წყალი მულამ ბებოს მოაქვს,
ზარი რეკავს, ბებო ღგება...
აბა, ლია რას აკეთებს?—
ზის სკამზე და იზმორება.

ლორბუცაღა

ნინოს თხილი, კანფეტი
ჯიბეში არ ეტევა,
მაგრამ თავის ღისათვის
ერთიც არ ემეტება.

ღათუნიას კვრომანქანა

მაია გელუტაშვილი

ღათუნიაშ იყიდა
ღურჯი ავტომანქანა,
ვერაფერი გაუგო,
აქეთ-იქით აქანა.
დაშადა და ააწყო,
დამსგავსა რაკეტას,
ბოღოს—სულაც სამფეხა
სკამად გადაკეთა.

ზურას ზარა

ნაირა ნიჟარაძე

მინდორ-მინდორ მიჰყავს ცხვარი,
ჰე, ვერცხლისფრად ბზინავს ცვარი
— წამო, წამო, ჩემთან მურა, —
ელუნება მურას ზურა.
შარიშური ისმის ხეთა,
ცხვარს მიჰყვება ორივ ერთად.



მეზუსი

3



ბ 116/33

ეროვნული
ბიბლიოთეკა
76055



ბურატინოს და ჩიპოლინოს ძელია, კურდღელი და დათვი უნდა მიეპატიეებინათ, საგ-
რამ ვერსად მიაგნეს.
ბავშვებო, დაეხმარეთ მათ.

მოთავარი რედაქტორი მუხრან შატავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი (პ/მგ. მღვანეი), ელუარდ ამგოშაძე, კაპუჩი გოგიბაშვილი,
ლუილა პრაპე, მასვალა მრავლიშვილი, ჯიშვიტ მუჭირი, გიორგი გომიშვილი (სამხ. რედაქტო-
რი), იორაბე მემირაბიძე, რობერტ ლარინაშვილი, ვივი ძეწალაძე.

საქ. აღმკვეთი და გ. ი. ლუნიას საბავშვო პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურანალო.
ყვამლე ნახატი თამარ სუცივილიძის გამოცემის 52-ე წელი.
ტიპრედაქტორი მინდი წამთელია

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-99-15;
პ/მგ მდივნის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფ.—93-98-19; სამდივნოსი—93-98-16.
გადაცემა ასაწარმოებლად 17/XI-78 წ. ზელმოწერილია დასაბუქლად 25/XII-78 წ. ქალაქის ზომა 60X90 მმ,
ფხვ. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. ზედა. № 3102 „Диапа“ № 2, на грузинском языке. ფასი 20 კამ

საქ. კმ ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии